

საიდ. №63105/03
IR1079449

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 97-03/12

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ეგუტია (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, თ. ჯაფარიძე, ქ. კილაძის მდივნობით განიხილა კომპანია „იანსენ ფარმასეუტიკა ნვ“ („Janssen Pharmaceutica NV“) (ბელგია) სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2012 წლის 27 აპრილის №614/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც განცხადებულ სასაქონლო ნიშანს „CLORIZA“ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-5 კლასის საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ. აღნიშნულ ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „CLORIZA“ (ლათინური ანბანით შესრულებული) უღერადობით ჰგავს კომპანიის „ლიზოფორმ დეზინფექშენ აგ“-ს („LYSOFORM DESINFEKTION AG“) მიერ „საქპატენტში“ რეგისტრირებული ლათინური ანბანით ჩაწერილ ნიშანს: „CLORINA“, (რეგ. №8884, რეგ. თარიღი: 13.04.1998წ.), რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას მე-5 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის, ზემოთქმული წარმოდგენს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად ნიშნის დაცვაზე უარის თქმის საფუძველს.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანიის წარმომადგენელი ალექსანდრე გეგეჭკორი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას შემდეგ გარემოებათა გამო:

დაპირისპირებული ნიშნები განსხვავდებიან, როგორც ვიზუალურად ისე ფონეტიკურად, კერძოდ დაპირისპირებული ნიშანი წარმოადგენს ლათინური ანბანით შესრულებულ აღვნიშნას „CLORINA“, რომლის ბოლო ასო „N“ თანხმოვანია, მაშინ როცა განცხადებულ ნიშანში „CLORIZA“ სიტყვის ბოლო თანხმოვანია ასო „Z“, რომლის მოხაზულობაც მკვეთრად განსხვავდება ასოს „N“, მოხაზულობისაგან, რაც საკმაო განმასხვავებლობას სძენს განცხადებულ ნიშანს. შესაბამისად დაპირისპირებული ნიშანი იკითხება როგორც „კლორინა“ და ნიშნის ბოლო თანხმოვანი „N“ უდერს ბევრად უფრო ყრუდ, ვიდრე განცხადებული ნიშნის ბოლო თანხმოვანი „Z“, რომელიც უდერს როგორც „კლორიზა“, რაც სრულიად გასხვავდება დაპირისპირებული ნიშნის უდერადობისგან და მკვეთრად უსვამს ხაზს მათ შორის არსებულ ფონეტიკურ გასხვავებას.

აპელანტის განმარტებით, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაპირისპირებული ნიშნის მფლობელი კომპანია „LYSOFORM DESINFEKTION AG“ ძირითადად აწარმოებს მადეზინფიცირებელ ჰიგიენურ და სანიტარულ ნაწარმს. სასაქონლო ნიშანი „CLORINA“ გამოიყენება ზედაპირების და სამედიცინო აღჭურვილობის მადეზინფიცირებელი საშუალებების მოსანიშნად. იმის დასტურს, რომ ზემოაღნიშნული კომპანია არ აპირებს დაპირისპირებული ნიშნით აწარმოოს მე-5 კლასში შემაჯავალი სხვა საქონელი მადეზინფიცირებელი საშუალების გარდა, წარმოადგენს ის ფაქტი, რომ კომპანიის „LYSOFORM DESINFEKTION AG“ სასაქონლო ნიშანი „CLORINA“ მადრიდის შეთანხმების ოქმით რეგისტრირებული აქვს მხოლოდ მე-5 კლასში დეზინფექტანტებისათვის.

რაც შეეხება განცხადებულ ნიშანს „CLORIZA“, იგი განკუთვნილია მედიკამენტის მოსანიშნად, რომელიც გამოიყენება ექიმის დანიშნულებით და მისი შექმნა შესაძლებელი იქნება მხოლოდ აფთიაქებში.

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული ნიშნები გამოიყენება სრულიად განსხვავებული საქონლისათვის. დაპირისპირებული ნიშანი „CLORINA“, როგორც ზედაპირების და სამედიცინო აღჭურვილობის მადეზინფიცირებელ საშუალება, ძირითადად გამოიყენება სამედიცინო დაწესებულებების მიერ, შესაბამისად მას

პყავს სფეციპიკური მომხმარებელი, რომელმაც კარგად იცის შესაძენი საქონლის დანიშნულება. ხოლო განცხადებული ნიშანი „CLORIZA“ განკუთვნილია მედიკამენტის მოსანიშნად, რომელიც გამოიყენება ექიმის დანიშნულებით. აქედან გამომდინარე შეუძლებელია მოხმარებლის მხრიდან დაპირისპირებული ნიშნებისა და მათი შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა. შესაბამისად არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

აპელანტი ასევე ყურადღებას ამახვილებს საქპატენტის პრაქტიკაზე და აღნიშნავს რომ, მრავლად არის ისეთი შემთხვევები, როდესაც როგორც საქპატენტის ექსპერტიზამ ასევე სააპელაციო პალატამ განსხვავებულად მიიჩნია სასაქონლო ნიშნები რომლებიც ერთი ასოთი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგ: „soliani“ და „joliani“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი თვლის, რომ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2012 წლის 27 აპრილის №614/03 ბრძანება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი და საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „CLORIZA“ (IR 1079449) უნდა მიენიჭოს დაცვა განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვლის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა აპელანტის არგუმენტაცია და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში უნდა დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2012 წლის 27 აპრილის №614/03 ბრძანება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატის კოლეგია მიიჩნევს, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნები აღრევამდე მსგავსია. განცხადებული ნიშანი „CLORIZA“ ისევე როგორც დაპირისპირებული ნიშანი „CLORINA“ შედგება შვიდი ლათინური ანბანის ასოსაგან. იდენტურია ნიშნების პირველი ხუთი ასო „CLORI“ და ასევე ბოლო ასო „A“, განსხვავებულია ნიშნების მეექვსე ასო „N“ და „Z“, რაც ნიშნებს განმასხვავებლობას არ სძენს. დაპირისპირებული ნიშნები ასევე მსგავსია უღერადობით „კლორინა“ და „კლორიზა“. რაც შეეხება საქონლის ჩამონათვალს,

ორივე ნიშანი განცხადებულია მე-5 კლასის საქონლის ჩამონათვლისათვის. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კოლეგია მიიჩნევს, რომ აღრევამდე მსგავსი სასაქონლო ნიშნების და აღრევამდე მსგავსი საქონლის ჩამონათვლის პირობებში მოხდება მათი აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას მწარმოებლის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი და ძალაში უნდა დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2012 წლის 27 აპრილის №614/03 ბრძანება.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ გაითვალისწინა ზემოაღნიშნული გარემოებანი და იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ე ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „იანსენ ფარმასეუტიკა ნვ“ („Janssen Pharmaceutica NV“) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2012 წლის 27 აპრილის №614/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6.) გადაწყვეტილების გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ე. ეგუტია

წევრები:

ი. გიქორაშვილი

თ. ჯაფარიძე

